01-67 01.04.2026

სსიპ – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნისა და წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

ბრძანება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-7 მუხლის პირველი, მე-2-მე-4 პუნქტების, მე-6 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების, სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 3 თებერვლის ოქმი N1, 1/2026 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-7, მე-8 მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №7/25

დადგენილების, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 26 სექტემბრის №5/25 გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით, დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები 2026 წლის 22 აპრილს, აკადემიური საბჭოს ოთხ ვაკანტურ ადგილზე:

ა) მწვრთნელთა ფაკულტეტიდან - 1 წევრი (უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით);

ბ) სპორტის მენეჯმენტის და ადმინისტრირების ფაკულტეტიდან – 3 წევრი (4 წლის ვადით).

2. აკადემიური საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. აკადემიური საბჭოს წევრობის მსურველ პირთა განცხადებების მიღება განხორციელდეს 2026 წლის 2 აპრილიდან 8 აპრილის ჩათვლით, ყოველ დღე 11:00 საათიდან 17:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55).

4. სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა შესაძლებელია აგრეთვე ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე info@sportuni.ge.

5. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებს ევალებათ სარეგისტრაციო განცხადებაში დაადასტურონ, რომ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ უკავიათ აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობა.

6. დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის სათანადო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება.

7. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება: პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტა.

8. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) ორი ფოტოსურათი (3x4);

დ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;

9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
10. წინამდებარე ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.
11. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
12. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

რექტორი, პროფესორი ტრისტან გულბიანი